საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/36

20 აგვისტო 2012 წ. **ქ. ბათუმი**

2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის და მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №134 დადგენილებით დამტკიცებული „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის“, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის სადოქტორო პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის, დოქტორანტურაში მისაღები კონტინგენტისა და მისაღები გამოცდების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №140 დადგენილების, აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ნ. ზოსიძის 2012 წლის 15 აგვისტოს №2705 მოხსენებითი ბარათის, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფესორ მ. ქორიძის 2012 წლის 17 აგვისტოს №2725 მოხსენებითი ბარათის, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გ. ფარცხალაძის 2012 წლის 15 აგვისტოს №2695 მოხსენებითი ბარათის და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ტ. ებრალიძის 2012 წლის 14 აგვისტოს №2694 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2012 წლის 20 აგვისტოდან 20 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახური, ოთახი №28. ტელ: 27 64, 57; 577 112015; 577 177918.

2. დოქტორანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (და დანართის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4 და ელექტრონული ვერსია კომპაქტ-დისკზე;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

ე) დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა (სპეციალური ფორმა; იხ. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე).

3. გასაუბრება სპეციალობაში და გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შემდეგ მისამართზე: ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35;

ა) გასაუბრება სპეციალობაში ჩატარდეს 2012 წლის 21 სექტემბერს №60, №61, №62, №65, №66 აუდიტორიაში (გასაუბრების დაწყების დრო - I ცვლა - 14^{00} საათი; II ცვლა - 18^{00} საათი).

- ✓ გასაუბრების შედეგები გამოცხადდეს დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 22-23 სექტემბერს, 10^{00} საათიდან 17^{00} საათამდე მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2012 წლის 24 სექტემბერს.

ბ) გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2012 წლის 25 სექტემბერს, რსუ-ს ბიბლიოთეკაში. (გამოცდის დაწყების დრო 10^{00} საათი).

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 26-27 სექტემბერს, 10 საათიდან 17 საათამდე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2012 წლის 28 სექტემბერს.

4. გასაუბრებაზე/გამოცდაზე დასასწრებად კონკურსანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

5. 2012 წლის 28 სექტემბერს ფაკულტეტების დეკანებმა წარმოადგინონ იმ პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამისი ფაკულტეტების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, რის საფუძველზეც გამოიცეს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი დოქტორანტობის კანდიდატების შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მიეწოდოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

7. მეცადინეობა დოქტორანტურაში დაიწყოს 2012 წლის 01 ოქტომბერს.

8. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ-ს ფაკულტეტებზე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურთან და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რის უზრუნველყოფა დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**